**დღის ნომერში:**

- „მესინის სრუტის თასის“ შემდეგ — „ქალაქ სან-რემოს“ პრიზი
- ქართველი ფეხბურთელების წ ა რ მ ა ტ ე ბ ა
- გ. მურმანიძე და რ. ჯინჯიხაშვილი — პრიზიორები



გუშინწინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა ხვიდ-ვეიში საკავშირო პირადი პირველობის მეოთხედფინალური შეჯიბრება, რომლის ანგარიშსაც მე-2 გვერდზე გთავაზობთ.
ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი. ო. გელაშვილის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 147 (4141)

1970 წ. 29 ივლისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ტალინი, 27 ივლისი. ტყვიის მსროლელთა შეჯიბრებაში ტარ-ტუელმა მ. ლიივმა მცირეკა-ლიბრიანი შაშხანით „გაქცეულ ტახზე“ ასპარეზობაში 200-დან 174 ქულა მოაგროვა, რაც ახა-ლი მსოფლიო რეკორდია.

## 200-დან 174 ქულა

## იცურავეთ, იასპარეზეთ...





თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღო: ქარხნის ტერიტორიაზე გაიხსნა ახალი საცურაო აუზი, რომელიც ფართობით 25×15 მეტრია, აქვს ხუთი ბილიკი, გასახდელები, საშხაპეები, საექიმო და მეთოდური კაბინეტები. ზამთრობით სპორტსმენებს შეუძლიათ სპეციალური გვირაბის საშუალებით მივიდნენ აუზში სავარჯიშოდ.

სამუშაოების შესრულება ამიერკავკასიის ტრანსმშენის № 131 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ვ. ტაგანაშვილი) ჰქონდა დავალებული. მშენებლებს დიდ დახმარებას უწევდნენ თვით ქარხნის სპორტსმენებიც, კომკავშირლები. ისინი ხშირად აწყობდნენ შაბათობას, ამწვანებდნენ აუზის ტერიტორიას.

აუზის გახსნისას „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ზოჰორიძემ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელით მშენებელთა და ქარხნის ენთუზიასტთა დიდ ჯგუფს სიგელები გადასცა.

აი, რა უამბო ჩვენს კორესპონდენტს ელმავალმშენებელი ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ო. ბერაძემ:

— ჩვენს ქარხანაში ცურვა დიდი პოპულარობით სარგებლობს. მოცურავეთა გუნდში ბევრი თანრიგოსანია. ისინი რეგულარულად მონაწილეობენ საქარხნო კოლექტივების რაიონულ თუ საქალაქო შეჯიბრებებში. აუზის გახსნის შემდეგ კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობები გვეძლევა ვარჯიშისთვის. შეგვიძლია ჩვენი მუშებისა და მოსამსახურეების შვილებსაც ვასწავლოთ ცურვა. გავხსნით ჯანმრთელობის ჯგუფებსაც. მალე ორი მწვრთნელიც გვეყოლება ცურვაში (კანდიდატებიც უკვე შერჩეული გვყავს — ვ. კარანაძე და ვ. კაბისოვი). განზრახული გვაქვს შევქმნათ წყალბურთელთა გუნდიც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით წყლის გათბობა ვერ მოვაწყვეთ, მაგრამ თანდათანობით ალბათ ეს საკითხიც მოგვარდება.

ზ. ქვათაძე.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: აუზის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების მონაწილეთა ალლური; ახალი აუზის პირველი სტუმრები მუშა-მოსამსახურეთა შვილები არიან.

ავტორის ფოტო.

# გმირის უკვდავსაყოფად

საბჭოთა ადამიანებს მარად ეხსომებათ სამშობლოს საუკეთესო შვილების გმირობა, რომლებმაც საბჭოთა ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას თავიანთი სიცოცხლე შესწირეს. საბჭოთა კავშირის ყოველ რესპუბლიკაში არიან ეროვნული გმირები, რომელთა სახელებსაც არქმევენ ქალაქებსა და სოფლებს, კოლმეურნეობებსა და მშენებლობებს, სკოლებსა და ქარხნებს. მათ ხსოვნას ყველგან სხვადასხვაგვარად უკვდავყოფენ.

ტაჯიკი მეომრის, საბჭოთა კავშირის გმირის ი. ხამზაალიევის პატივსაცემად ლენინაბადის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი წლევანდელი წლიდან ატარებს ამ მოკრივის მემორიალს, სადაც მიწვეული არიან ამ სახეობის უძლიერესი ოსტატები ყველა რესპუბლიკიდან. პირველი ასეთი შეხვედრა ამ თვის დამდეგს გაიმართა: ეს იყო ტაჯიკეთის ღია პირადი პირველობა.

დუშანბელ და ლენინაბადელ მოკრივეთა გარდა, სარბიელზე გამოვიდნენ ფერგანელი, ჩირჩიკელი, თბილისელი სპორტსმენები.

მონაწილეთა შემადგენლობა ძალიან ძლიერი იყო — იშვიათად, რომ რომელიმე მათგანს სპორტის ოსტატის ან კანდიდატის წოდება მაინც არ ჰქონოდა. ასევე იშვიათად მთავრდებოდა ბრძოლები სამ რაუნდზე ადრე.

გაუჭირდათ მემორიალის მასპინძლებს. პრიზების ნახევარზე მეტი სტუმრებმა წაიღეს. სამი ოქრო ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა მოიხვეჭეს. ესენი არიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, სპორტის ოსტატი მ. არუთინოვი (54 კგ), ოსტატობის კანდიდატი რ. იუმუკიანი (75) და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. მილიუშკოვი (81 კგ-ს ზევით). II ადგილებზე გავიდნენ ო. ტიტვინიძე (51), ვ. საპელკო (60) და შ. ხოსიაური (75).

თბილისის გუნდი მემორიალში „ბურევესტნიკით“ იყო წარმოდგენილი. მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ნავასარდოვმა ერთობ ტექნიკური შემადგენლობა მოამზადა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მემორიალის მთავარი პრიზი, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ი. ხამზაალიევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მიერ იყო დაწესებული და საუკეთესო გუნდური შედეგისთვის უნდა გაეცათ, მსაჯთა კოლეგიამ სწორედ საქართველოს გუნდს მიაკუთვნა. სამი პირველი და ამდენივე მეორე ადგილი ექვსი მონაწილისგან შემდგარი გუნდისთვის საკმაოდ დამაჯერებელი შედეგია.

სპორტსმენები იყვნენ გმირის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, შეხვდნენ მის დედასა და ძმას, მოისმინეს ხამზაალიევის გმირობის ამბავი და ყვავილებით შეამკეს მისი ძეგლი.

— ტაჯიკი ხალხის შესანიშნავი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ხამზაალიევის ხსოვნის აღსანიშნავ შეჯიბრებაში წლეულს მხოლოდ ჩვენი ექვსი მოკრივე მონაწილეობდა. საგაისოდ მემორიალში საქართველოს სამი კოლექტივი გამოვა. დაე რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს ისმაილის გმირობის ამბავი, — თქვა ნავასარდოვმა.

გ. მალი.

ლენინაბადი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. მილიუშკოვისა და ო. კოშლოვის შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.



## დანინაურდა უკრაინის დუეტი

ორიოლი, 27 ივლისი. აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობა საპლანერო სპორტში. ასპარეზობის მეოთხე დღის ნამდვილი გმირი იყო ახალგაზრდა დნეპროპეტროვსკელი სპორტსმენი ეკატერინე გოლენკო. მან სამასკილომეტრიანი სამკუთხა მარშრუტი 3 საათში, 55 წუთსა და 10 წამში დაფარა, რითაც **ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა.** უკრაინელმა სპორტსმენმა საათში საშუალოდ 78,3 კმ სიჩქარე განავითარა. ეს 3 კმ-ით მეტია მოსკოველ ი. გოროხოვას ძველ რეკორდზე.

ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე გაიმარჯვა ლიტველმა პლანერისტმა ა. კილნამ, რომელმაც პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი.

ოთხი ვარჯიშის შემდეგ გუნდურ პირველობას ინარჩუნებენ უკრაინის პლანერისტები. II ადგილზეა მოსკოვის გუნდი, III — რუსეთის ფედერაციის კოლექტივი. პირად ჩათვლაში ქვეყნისა და სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტურ ჩემპიონთა წოდებაზე პრეტენზიას აცხადებს უკრაინელთა — ე. რუდენსკისა და ე. გოლენკოს დუეტი.

ი. პოლუშინი.
(საკუთარი კორ.).

## 20-45

◆ სან-რემო (იტალია), 28 ივლისი. „მესინის სრუტის თასის“ მოპოვების შემდეგ სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ წარმატებით იასპარეზა „ქალაქ სან-რემოს პრიზის“ გათამაშებაში და ეს ნადავლიც მოიხვეჭა — ამ საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს ანგარიშით **58:34 (26:12)** დაამარცხა საფრანგეთის ეროვნული გუნდი.

◆ ამსტერდამი, 28 ივლისი. ახალგაზრდა უნგრელმა მოჭადრაკემ ა. ადორიანმა ყველას აჯობა „იბმ“-ს IX ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ოსტატთა შორის. მან 7,5 ქულა დააგროვა 11-დან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა პროფესორმა მ. ეივემ, რომელიც ტურნირის საპატიო პრეზიდენტია, ადორიანი საგაისოდ მთავარ — დიდოსტატთა შეჯიბრებაში სათამაშოდ მოიწვია. ახლა კი დიდოსტატები ბრძოლას განაგრძობენ. XI ტურში ორივე ლიდერმა გაიმარჯვა: ბ. სპასკიმ მოუგო ჰოლანდიელ რ. ჰარტოგს, ლ. პოლუგაევსკიმ კი იუგოსლაველ დ. იანოშევიჩს. ახლა ლიდერებს 9-9 ქულა აქვთ. 8 ქულით III ადგილზეა ვ. ულმანი (გდრ), რომელმაც სძლია იუგოსლაველ ს. გლიგორიჩს. ე. გელერმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ ი.-ჰ. დონერთან და ახლა 6,5 ქულით IV ადგილზეა. V-VI ადგილებს იყოფენ გლიგორიჩი და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 6-6.

— გავეწვიეთ რაიონულ შეჯიბრებებზე, კმაყოფილი დარჩებით, — გვითხრა გაგრის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა დ. რეკვავამ. — ჩვენ კარგად გვესმის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის საკავშირო კომკავშირული დათვალიერების უდიდესი მნიშვნელობა.

შემდეგ მდივანმა დასძინა, რომ გაგრის რაიონის მრავალი ქალიშვილისა და ჭაბუკისთვის ეს დათვალიერება შეიძლება ფიზკულტურით, სპორტის სამხედრო-გამოყენებითი და ტექნიკური სახეობებით გატაცების დასაბამი გახდეს.

მე მშვიდად მოვისმინე ეს შთაგონებული მონოლოგი და მდივანს ერთი უწყინარი შეკითხვა მივეცი.

— ივნისი, სპორტული გამოცდების ჩაბარების მეორე თვე, გასულია. რამდენმა კომკავშირელმა გაიარა ეს ეტაპი?

პასუხმა პირდაპირ გამაოცა: გამოცდა 3 ათასზე მეტ ახალგაზრდას ჩაუბარებია!

დავბრუნდეთ ცოტა უკან და გავიხსენოთ კომკავშირის რაიკომის მარტის პლენუმი, რომელიც სპორტის საკითხებს მიეძღვნა.

„უნდა ვუსაყვედუროთ დოსააფის რაიონულ კომიტეტს, რომელიც უჩვეულოდ მართავს შეჯიბრებებს სროლაში, არ გვიტარებს ლექციებს სამხედრო თემაზე. „კოლმეურნემ" მუშაობის გეგმა მოგვცა. მზადება დავიწყეთ, მაგრამ ასპარეზობის ჩატარების დრო და ადგილი არ შეგვატყობინეს და ყველაფერს თავი მივანებეთ. უბრალოდ, გასართობად ვვარჯიშობდით და ფრენბურთს ვთამაშობდით. ეს იყო და ეს", — თქვა მეფრინველეობის ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ტ. ვოზბამ.

ორიგინალური იყო გაგრის XVII პარტიული ყრილობის სახელობის დასასვენებელი სახლის კომორგის ა. ბუდილინას გამოსვლა. მან რიხიანად განაცხადა, რომ დასასვენებელ სახლში „სპორტული ღონისძიებებიდან შექმნილია და აქტიურად მუშაობს ფრენბურთელთა გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას კომკავშირელი პ. კოვალჩუკი" (ორატორის სტილი დაცულია). შემდეგ ბუდილინამ დასძინა, რომ მათი ორგანიზაციის კომკავშირელები „აქტიურად მონაწილეობენ ყველა ნებაყოფლობით საზოგადოებაში — „წითელ ჯვარში", „ბუნების მეგობარში", მეხანძრეთა და კულტურის ისტორიული ძეგლების დაცვის საზოგადოებებში".

განაწყენებული იყვნენ № 8 მოძრავი მექანიზებული კოლონის კომკავშირელები, რომელთაც თქვეს, რომ მათს ორგანიზაციაში მთელი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მოჭადრაკეთა ტურნირების ჩატარებით ამოიწურება. დოსააფის კომიტეტს კი მხოლოდ ლატარიის ბილეთების გავრცელება აინტერესებს.

პლენუმი დამთავრდა, ყოველდღიური ცხოვრება გაგრძელდა და ყველა უკმაყოფილება თანდათან მიივიწყეს.

მოდით, ახლა რაიონის ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციას ვესტუმროთ. მართლა იქცა თუ არა მათთვის დათვალიერება სპორტის პირველ საგზურად?

## იოლი გზა

ტრესტ „ბიჭვინთმშენს" 450 ფიზკულტურელი ჰყავს, რომელთაგან 10 პროცენტი თანრიგოსანია. დიდია კომკავშირელთა რიცხვიც.

— მაგრამ დათვალიერების შესახებ თქვენგან პირველად მესმის, — მითხრა ტრესტის სპორტის მესვეურმა მ. შტემაკმა. — რომ გვცოდნოდა, რა თქმა უნდა, მოვემზადებოდით და ამ ღონისძიებას ჩავატარებდით. დარწმუნებული ვარ, დათვალიერება ხელს შეგვიწყობდა ფიზკულტურელთა და აქტივისტების რიგების შევსებაში, სპორტული მოედნების მოწყობაში.

როგორც „კოლმეურნის" გაგრის რაისაბჭოს თავმჯდომარემ შ. ჰელიძემ აღიარა, სპორტული გამოცდები არ ჩატარებულა სოფელ ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, რაიონის სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ეს გასაგებია, რადგან კომკავშირის რაიკომს საერთოდ არ უცნობებია მისთვის რაიმე ამ დათვალიერების შესახებ.

აი, რა თქვა პლენუმზე გაგრის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. გაგოშიძემ: „საკავშირო დათვალიერება ჩვენს წინაშე სახავს დიდ ამოცანას — მასობრიობისთვის ბრძოლას. სავარჯიშო ადგილი ბევრი გვაქვს, განსაკუთრებით ზაფხულში, მაგრამ ძალიან იშვიათად ვხედავთ, რომ, მაგალითად, საერთო საცხოვრებლების წინ შესვენების დროს ახალგაზრდობა თამაშობდეს ფეხბურთს, კალათბურთს, მაგიდის ჩოგბურთს. მართალია, სკოლებში ყველა შესვენებაზე მოსწავლეები სპორტული თამაშით არიან გართული, მაგრამ ეს ყველაფერი სტიქიურად ხდება. ფიზკულტურის გაკვეთილები სათანადო დონეზე არ ტარდება, ბავშვები სპორტული ტანსაცმლით არ ცხადდებიან სამეცადინოდ. სკოლებში უკანასკნელი ზარის შემდეგ სპორტული დარბაზები ცარიელია. ფიზკულტურის მასწავლებლები [illegible] შე ბოქლომს ადებენ [illegible] კარს, სკოლების დირექტორები კი ყოველმხრივ ცდილობენ, რომ ამ დარბაზებში ვარჯიშის უფლება არ მისცენ რაიონის ნაკრებ გუნდებსაც კი.

ცუდი მდგომარეობაა განთიადის ზონაში, სადაც 18 სკოლაში არც ერთი სპორტდარბაზი არ არის.

ამ გულმტკივნეულ სიტყვებს შედეგი არ მოჰყოლია. დათვალიერება ფორმალობად იქცა.

— როგორ ჩააბარა გამოცდა 3000 კაცმა? — კითხვა დამიბრუნა ო. გაგოშიძემ. — ძალიან უბრალოდ. ჩვენ 6000 ჩათვლის წიგნაკი გავეცით. გავყოთ ეს ციფრი ორზე და მივიღებთ, რომ 3000 კაცმა უკვე გაიარა გამოცდა. მალე კიდევ დავაზუსტებთ მონაცემებს და დანარჩენ 3000 კაცსაც დავუმატებთ.

თქვენთვის ნათელია ეს ახსნა-განმარტება? ასე იოლად, ქაღალდზე გადაწყდა გაგრის რაიონში ცოცხალი სპორტული მუშაობის მნიშვნელოვანი ამოცანა.

მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაფერს ვერც ქაღალდი იტანს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში დაინტერესდებიან ამ საკითხით.

**პ. ბუკინი.**

გაგრა. (ჩვენი სპეც. კორ.).

---

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

## „ჟალგირისისთვის" სულ ერთი იყო

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის ერთი მატჩი.

**კაუნასი.** ადგილობრივმა „ჟალგირისმა" უმასპინძლა სვერდლოვსკის „ურალმაშს". ურალელმა კალათბურთელებმა მონდომებით ჩაატარეს მეტად პასუხსაგები შეხვედრა და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 78:76. სხვა პირობებში ეს შედეგი უდავოდ სენსაციური იქნებოდა, მაგრამ ამჯერად მას დიდი გაკვირვება არ გამოუწვევია. საქმე ისაა, რომ მასპინძლებმა ახალგაზრდებს ანდეს ბრძოლის ბედი და, როგორც ხედავთ, დამარცხდნენ კიდეც.

„ჟალგირისი" წლევანდელი შედეგით კმაყოფილი უნდა იყოს. შარშან მან ჩემპიონატში VI ადგილი დაიკავა, წლეულს კი ორი საფეხურით მაღლა გადაინაცვლა. საინტერესოა ერთი დეტალიც: გასულ ჩემპიონატში „ჟალგირისს" 33 მატჩის შემდეგ 20 ქულა ჰქონდა (შარშან გუნდებმა 4 წრე ითამაშეს და ამიტომაც 33 მატჩის ნაცვლად 44 ჩაატარეს), წლეულს — 21.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 32 | 29 | 3 | 2671—2231 | 29 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 33 | 25 | 8 | 2510—2204 | 25 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 30 | 21 | 9 | 2407—2188 | 21 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 33 | 21 | 12 | 2566—2494 | 21 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 33 | 21 | 12 | 2712—2530 | 21 |
| „კალევი" (ტარტუ) | 31 | 17 | 14 | 2445—2406 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 31 | 14 | 17 | 2439—2530 | 14 |
| ასკ (რიგა) | 33 | 11 | 22 | 2469—2642 | 11 |
| ასკ (კიევი) | 29 | 10 | 19 | 2078—2158 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 31 | 8 | 23 | 2231—2503 | 8 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 33 | 7 | 26 | 2448—2771 | 7 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 31 | 6 | 25 | 2280—2558 | 6 |

### ჩვენი [illegible]

საკავშირო ჩემპიონატის ფინიშამდე 8 მატჩი დარჩა. ზოგიერთის შედეგს მეტოქეებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ისინი ოდნავადაც ვერ შეცვლიან სატურნირო ცხრილის სახეს. მაგრამ ორ მატჩს ალმა-ათის „ლოკომოტივის" მონაწილეობით მოუთმენლად ელიან არა მარტო ყაზახეთის გუნდის გულშემატკივრები, არამედ მათი შორეული კოლეგები სვერდლოვსკშიც.

სატურნირო ცხრილის ბოლოში ორიგინალური მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენ ადრეც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ თბილისის „ბურევესტნიკმა" თავისი 8 ქულით პრაქტიკულად გაინაღდა ადგილი უმაღლეს ლიგაში. შესაძლოა ვინმე დააეჭვოს იმ ფაქტმა, რომ „ლოკომოტივსაც" შეუძლია იმდენივე ქულის დაგროვება, რამდენიც თბილისელებს აქვთ. ვთქვათ, მართლაც მოხდა ასეთი სენსაცია და ალმაათელებმა დაამარცხეს „სტროიტელიცა" და „კალევიც". სხვათა შორის, ასეთი რამ გამორიცხული არაა ორი მიზეზით: ჯერ ერთი, „ლოკომოტივი" ორივე მატჩს შინ ატარებს და მეორეც, არც ერთ მის მეტოქეს ქულა არ სჭირდება, ამიტომ შორეულ მგზავრობაში ისინი, შესაძლოა, სათადარიგო შემადგენლობით გაემგზავრონ.

ერთი სიტყვით, ვუშვებთ, რომ „ლოკომოტივმა" დაამარცხა ორივე მრისხანე მეტოქე და თბილისელების მსგავსად ტურნირი 8 ქულით დაამთავრა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამისთვის თბილისელებმაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყონ ალმაათელებს და შინ ორივე მატჩი წააგონ გუნდებთან („კალევი" და კიევის ასკ), რომლებსაც ასევე არაფერს აძლევს თითო ქულა.

დავუშვათ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა. ამ შემთხვევაშიც „ლოკომოტივი" მხოლოდ ნაწილობრივ გაიუმჯობესებს მდგომარეობას. თბილისელებზე მაღლა იგი ვერ დადგება იმიტომ, რომ ჩემპიონატის 3 კალენდარული მატჩიდან მასთან ორი წააგო და, ცხადია, ურთიერთშეხვედრების ბალანსი, რომელსაც, გათამაშების დებულების თანახმად, ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მისთვის არახელსაყრელია.

მაგრამ ალმაათელებისთვის მთავარია როგორმე ჩამოიტოვონ „ურალმაში" და სატურნირო ცხრილის მეთერთმეტე საფეხური დაიკავონ. ეს კი, როგორც ვიცით, მათ დამატებით ტურნირში თამაშის საშუალებას მისცემს. მაშ ასე, კალათბურთის გულშემატკივრებს ვაფრთხილებთ: მიაქციეთ ყურადღება ალმაათელთა ორ მატჩს „სტროიტელთან" და „კალევთან". ბრძოლა უსათუოდ მძაფრი და შეუპოვარი იქნება.

ახლა ორიოდე სიტყვა „სტროიტელზე", „ჟალგირისსა" და მოსკოვის „დინამოზე", ვინაიდან მათ შორისაც საინტერესო სიტუაციაა შექმნილი. „ჟალგირისმა" და მოსკოვის „დინამომ" ერთნაირი მაჩვენებლებით დაამთავრეს ჩემპიონატი. მაგრამ IV ადგილი წილად ხვდა „ჟალგირისს", რომელსაც, მართალია, გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა მოსკოველებზე უარესი აქვს, მაგრამ ჩემპიონატის 3 კალენდარული მატჩიდან ორი მოუგო „დინამოს".

ვთქვათ, „სტროიტელს" ღმერთი გაუწყრა და წააგო ყველა დარჩენილი ბრძოლა, მაშინ? „სტროიტელი" მაინც წინ იქნება იმავე ურთიერთშეხვედრათა შედეგების პრინციპით. გამოდის, რომ „სტროიტელს" მიმდინარე ჩემპიონატში უკვე განაღდებული აქვს III ადგილი, „ჟალგირისს" — IV, ხოლო მოსკოვის „დინამოს" — V.

დარჩენილ შეხვედრათა შედეგები არც თბილისის „დინამოსთვის" შეცვლის რაიმეს. გუნდი VII ადგილზეა და მის მატჩებს კიევის არმიელებთან და „სტროიტელთან" პრესტიჟის მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ.

**ნ. ბუზუშვილი.**

---

## შეუწყვეტელი რბოლა

სსრ კავშირის ჩემპიონატი სპიდვეიში



გასულ კვირას თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე, სტარტი აიღო სსრ კავშირის პირადმა პირველობამ სპიდვეიში. ეს იყო მეოთხედფინალური ტურნირი, რომელშიც მოსკოვის, თბილისის, ალმა-ათის, უფის, სტერლიტამაკისა და ერევნის საუკეთესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ; ტურნირს 8 ნახევარფინალისტი უნდა შეერჩია, მაგრამ ვინაიდან თბილისელები — ევროპის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. კლიმენტიევი და ჭაბუკთა შორის კონტინენტის ჩემპიონი ვ. გორდეევი იმ დღეს მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის ნახევარფინალში (ჩეხოსლოვაკია) სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდნენ, საკავშირო პირველობის ნახევარფინალში ისინი უბრძოლველად დაუშვეს. ამრიგად სხვებს დანარჩენი 6 საგზურისთვის უნდა ებრძოლათ.

„ლოკომოტივის" სტადიონზე ძალას ცდიდნენ სპორტის ოსტატები მოისეევი, ანჩუტინი (ორივე — მოსკოვი), ლიომინიდი (თბილისი), ასატრიანი (ერევანი). სარბიელზე გამოვიდა, აგრეთვე, 7 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 6 პირველთანრიგოსანი.

დებულებით, ნახევარფინალისტთა ვინაობა ორი დღის შედეგების მიხედვით უნდა გამორკვეულიყო, მაგრამ პირველ დღეს მეხუთე სერიის შემდეგ კოკისპირული წვიმის გამო ასპარეზობა შეწყდა. მსაჯთა კოლეგიამ დაადგინა მეორე დღის შედეგების მიხედვით ემსჯელა, ეს კი სპორტსმენთა პასუხისმგებლობას ერთიორად ზრდიდა.

მასპინძელთა გუნდის ლიდერების კლიმენტიევისა და გორდეევის არყოფნას შეჯიბრებისადმი ინტერესი ოდნავაც არ შეუნელებია, ვინაიდან ლიომინიდიმ და სპორტის ოსტატობის კანდიდატმა კრასნოვმა მათი საქმე შესანიშნავად განაგრძეს.

პირველ ორ სერიაში თბილისელები არ მონაწილეობდნენ, ამიტომ ორივეჯერ პირველობა მოსკოველებმა მოისეევმა და ანჩუტინმა მოიპოვეს, რომლებიც 3-3 ქულით ლიდერები გახდნენ.

მესამე სერიამ ერთმანეთს შეახვედრა მასპინძლები ლიომინიდი და კრასნოვი. მათთან ერთად იბრძოდნენ უფელი იაკიმოვი და ერევნელი არუთინიანი. კრასნოვს გამარჯვება არ გასჭირვებია, ლიომინიდის კი იაკიმოვმა აჯობა და სერია მეორემ დაამთავრა, რითაც 2 ქულა დაიმსახურა.

მეოთხე სერია მოსკოველმა ბიკოვმა მოიგო. თბილისელი ხუჯაძე II ადგილზე გავიდა.

ამრიგად, ყველა სპორტსმენმა ძალა თითოჯერ სცადა. მოსკოველები დაწინაურდნენ. სამაგიეროდ, წინ იყო გადამწყვეტი სერიები, რომლებსაც ლიდერები ერთმანეთის პირისპირ უნდა დაეყენებინა.

ლიდერთა პირველი წყვილი — კრასნოვი და ანჩუტინი მე-7 სერიაში შეხვდნენ ერთმანეთს. რბოლა მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ანჩუტინი ამაოდ ცდილობდა კრასნოვის დამარცხებას.

განსაკუთრებით სწრაფი იყო მე-9 სერია, სადაც კრასნოვი და მოისეევი შეხვდნენ ერთმანეთს. ამ დროისთვის ისინი 6-6 ქულით ერთპიროვნული ლიდერები იყვნენ. თბილისელმა უფრო გამოცდილი მეტოქე იოლად დაამარცხა, თანაც იმ დღეს გამართული 20 სერიიდან სტადიონის 4 წრე მან ყველაზე სწრაფად—1 წუთსა და 17,5 წამში დაფარა.

საბოლოოდ, კრასნოვმა ყველა სერია მოიგო, 15 ქულა მოაგროვა, თბილისის ტურში I ადგილი დაიკავა და ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვა.

... ლიომინიდი მე-11 სერიამდე სტარტზე ორჯერ გამოვიდა და მხოლოდ 4 ქულა დააგროვა. ამიტომ იგი მდგომარეობის გამოსწორებას ჩქარობდა და მე-11 სერიაში შეცდომა დაუშვა — სტარტზევე ორჯერ დაარღვია წესი (სასტარტო ლენტს შეეხო), რისთვისაც სერიიდან მოხსნეს. ეს ნახევარფინალის საგზურის მაძიებლისთვის დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ ლიომინიდი სულით როდი დაეცა. დანარჩენ ორ სერიაში მან 6 ქულა მოიპოვა და საბოლოოდ 10 ქულით V ადგილზე გავიდა. ეს თბილისელ სპიდვეისტს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლებას აძლევს.

ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე, მოისეევი (13 ქულა), იაკიმოვი (13), ანჩუტინი (11) და ერევნელი გრიგორიანი (10).

ნახევარფინალები გაიმართება სალავათში, ლენინგრადსა და ნოვოსიბირსკში, ფინალს კი უფა უმასპინძლებს.

დღეს „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდება სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური მეოთხედფინალური ტურნირი, ნახევარფინალის საგზურისთვის იბრძოლებენ თბილისის, სომხეთისა და ყაზახეთის კოლექტივები. ასპარეზობაში ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნებული კლიმენტიევი და გორდეევიც გამოვლენ.

შეჯიბრება 18 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

**ო. გელაშვილი.**

* * *

სურათზე: მ. კრასნოვი შეჯიბრების დროს.

ავტორის ფოტო.

---

### [illegible]

**ველისციხე**

№ 13 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭომ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნა. მარშრუტი ასეთი იყო: ველისციხე — თელავი — გომბორი — უჯარმა — საგარეჯო — გურჯაანი — ველისციხე.

ა. ჯალაღანია,
ფიზკულტურის ინსტრუქტორი.



# „ლელოს" პრიზის მფლობელი

„ტყავის ბურთის" რესპუბლიკურ ფინალურ გათამაშებაში უფროსი ასაკის ბავშვთა შორის თავი გამოიჩინა თბილისის „დილას" ნახევარმცველმა ს. დუდამ, რომელსაც გადაეცა ჩვენი გაზეთის სპეციალური პრიზი.

• • •

სურათზე: ს. დუდა პრიზით ხელში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## პირველ ადგილზე

შეპეტოვკა, 28 ივლისი (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური ტურნირი „იმედის თასზე".

საქართველოს ნაკრებმა კარგად ჩაატარა ეს შეჯიბრება, დაიკავა I ადგილი და მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

„იმედის თასის" ფინალური გათამაშების ადგილი და ვადები გამოცხადდება მოგვიანებით.

# საქართველოს თასი




## სსრ კავშირის პირველობა

II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

II ზონა

პირველი წრის შედეგები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 21 | 10 | 8 | 3 | 26—6 | 28 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 21 | 10 | 8 | 3 | 25—11 | 28 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 21 | 11 | 4 | 6 | 30—19 | 26 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 21 | 9 | 8 | 4 | 26—20 | 26 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 21 | 9 | 8 | 4 | 20—18 | 26 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 21 | 10 | 5 | 6 | 30—20 | 25 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 21 | 8 | 9 | 4 | 24—19 | 25 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 21 | 9 | 7 | 5 | 25—27 | 25 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 21 | 9 | 4 | 8 | 22—20 | 22 |
| „დილა" (გორი) | 21 | 8 | 5 | 8 | 29—26 | 21 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 21 | 6 | 9 | 6 | 22—20 | 21 |
| „დინამო" (ბათუმი) | 21 | 8 | 5 | 8 | 18—21 | 21 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 21 | 8 | 4 | 9 | 24—20 | 20 |
| „ვოლგა" (გორკი) | 21 | 7 | 6 | 8 | 24—25 | 20 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 21 | 7 | 6 | 8 | 25—27 | 20 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 21 | 7 | 6 | 8 | 17—20 | 20 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 21 | 7 | 5 | 9 | 26—25 | 19 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 21 | 5 | 8 | 8 | 18—26 | 18 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 21 | 4 | 9 | 8 | 18—20 | 17 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 21 | 4 | 6 | 11 | 17—33 | 14 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 21 | 2 | 6 | 13 | 8—26 | 10 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 21 | 2 | 6 | 13 | 11—36 | 10 |

„ბ" კლასი

### გათამაშების ცხრილი

II ზონა, I ქვეჯგუფი

პირველი წრის შედეგები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 17 | 9 | 6 | 2 | 25—12 | 24 |
| „სპარტაკი" (რიაზანი) | 17 | 9 | 3 | 5 | 29—17 | 21 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 17 | 5 | 10 | 2 | 20—13 | 20 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 17 | 8 | 4 | 5 | 21—17 | 20 |
| „ტორპედო" (ეისკი) | 17 | 7 | 5 | 5 | 26—16 | 19 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 17 | 5 | 9 | 3 | 16—12 | 19 |
| „სპარტაკი" (სარანსკი) | 17 | 6 | 7 | 4 | 16—12 | 19 |
| „მეტალურგი" (კრასნი სულინი) | 17 | 7 | 5 | 5 | 13—13 | 19 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 17 | 6 | 5 | 6 | 23—16 | 17 |
| „პროგრესი" (კამენსკ-შახტინსკი) | 17 | 5 | 7 | 5 | 22—19 | 17 |
| „კახეთი" (თელავი) | 17 | 7 | 3 | 7 | 25—26 | 17 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 17 | 3 | 9 | 5 | 12—16 | 15 |
| „სულორი" (ვანი) | 17 | 5 | 4 | 8 | 17—28 | 14 |
| „სპარტაკი" (ტამბოვი) | 17 | 3 | 7 | 7 | 10—15 | 13 |
| „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) | 17 | 3 | 7 | 7 | 12—18 | 13 |
| „დინამო" (სოხუმი) | 17 | 4 | 5 | 8 | 15—22 | 13 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 17 | 4 | 5 | 8 | 16—26 | 13 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 17 | 5 | 3 | 9 | 15—35 | 13 |

## ახალი ამბები

● ვაგა (ესტონეთი), 27 ივლისი. ცსკა-ს მრბოლელთა მეგობრულმა სამეულმა „125-ანებით" I ადგილი დაიკავა საკავშირო ჩემპიონატში. 25 წლის მოტოკროსმენმა ე. პეტუშკოვმა ნახევარი წრით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული ა. ვორონინი. ბრინჯაოს მედალი ვ. კრალინინს ხვდა. ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო კალინინგრადელი ვ. პოპენკო. სტარტზე გამოვიდნენ საბჭოთა ქვეყნის საბავშვო სპორტსკოლების საუკეთესო აღსაზრდელებიც, რომლებიც „50-ანებით" ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა ა. კიუიუნემიაემ — გამოჩენილი ესტონელი მრბოლელის ვაჟმა. რიგელმა რ. საკსენსმა მოიგო პირველობა „175-ანების" კლასში.

ახალი ამბები

## სწრაფი „მძღოლები"

ლიუბლინი, 27 ივლისი. პოლონეთის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა ავტომოდელისტების გუნდმა 2000 ქულით I ადგილი დაიკავა. ეს ტურნირი ამავე დროს პოლონეთის XI ჩემპიონატი იყო, რომელშიც, მასპინძელთა და საბჭოთა მოდელისტებს გარდა, მონაწილეობდნენ უნგრეთისა და ბულგარეთის მიკროავტომობილების „მძღოლები".

საკორდო მოდელებით შეჯიბრებაში 33 წლის ტაშკენტელმა ო. მასლოვმა თავისი „ავტომობილი" ორჯერ მიიყვანა ფინიშთან ყველაზე ადრე: 1,5-მდე კბ სმ მოცულობის ძრავებიანი მანქანების კლასსა და 2,5-მდე კლასში. პირველ შემთხვევაში მისმა მოდელმა საათში საშუალოდ 165 კმ სისწრაფე განავითარა, მეორე მოდელში კი — 182 კმ საათში.

იმ მოდელთა კლასში, რომელთა ძრავის მოცულობა 10 კბ სმ-ს არ აღემატება, I ადგილი დაიკავა მოსკოველი გ. სოლოვიოვის მიკროავტომობილმა — 215 კმ საათში. ბაქოელმა მ. ოსიპოვმა ყველას აჯობა 5 კბ სმ მოცულობის კლასის მოდელებში — 202 კმ საათში. მისმა უფროსმა ძმამ იურიმ კი პოლონელ პაპროცკისთან ერთად იმარჯვა რადიოსამართავი ავტომოდელებით შეჯიბრებაში.

გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ პოლონელები — 1675 ქულა.

## ჩვენს [illegible]

### დღესასწაულის აღსანიშნავად

ვლადივოსტოკი. აფროსანთა ასპარეზობა, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა ამურის ყურის ეკვატორიაში, წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა. აფროსანთა შეჯიბრება და ფლოტის საზაფხულო სპარტაკიადა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა.

წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის ფიზიკური მომზადებისა და სპორტის უფროსი ვ. პეტროვი გვიამბობს:

— თითქმის ყოველ ნაწილს აქვს საკუთარი სპორტული დარბაზი, საწვრთნელი მოედნები, კარჭაპების ბაზები. კვირა არ გავა, რომ სპორტის რომელიმე სახეობაში ასპარეზობა არ გაიმართოს. კვირაში სამჯერ ტარდება ჭიდაობის, ძალოსნობისა და მძლეოსნობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ჩოგბურთის, სროლისა და საზღვაო სახეობების სექციების მეცადინეობა.

წყნარი ოკეანის მეზღვაურთა სპორტული ოსტატობა განუწყვეტლივ იზრდება. აკვალანგისტები ემზადებიან შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის პირველობაში გამოსვლისთვის, მიჩმან ანდრეევის კარჭაპმა კი სსრ კავშირის პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს-ესაა მოვიდა ცნობა, რომ მეზღვაურმა როდიონოვმა სსრ კავშირის ჩემპიონობა დაისაკუთრა ჭაბუკ მოკრივეთა შორის. მეზღვაურები ალექსეევი და ანისენკოვი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. წყალქვეშ ცურვის ოსტატთა მსოფლიო პირველობისთვის გულმოდგინედ ემზადება სსრ კავშირის 1969 წლის ჩემპიონი ამ სახეობაში, მიჩმანი ტარასოვი.

მეზღვაურები სპორტში წარმატებით მეცადინეობენ ოკეანეში ლაშქრობის დროსაც. ამ ბოლო ხანს ისინი ხშირად ატარებენ საერთაშორისო შეჯიბრებებს.

26 ივლისს, საზაფხულო სპარტაკიადის გახსნის დღეს, დაიწყო მეზღვაურთა მასობრივი შეჯიბრებები საწყლოსნო სახეობებში, რაც ტრადიციულ დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა. (საკდესი).

# ინგლისელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ...

ედინბურგი, 27 ივლისი. აქ ჩატარდა ბრიტანეთის ქვეყნების თანამეგობრობის IX სპორტული თამაშები. ასპარეზობა დამთავრდა ინგლისის გუნდის გამარჯვებით, რომელმაც პროგრამის 121 სახეობაში ყველაზე მეტი — 84 მედალი მოიპოვა. მაგრამ ამ შეჯიბრებაში „მორალურად გამარჯვებულებად“ ალბათ ავსტრალიელები თვლიან თავს. სულ მათ 82 ჯილდო მიიღეს, ინგლისელებზე 2 მედლით ნაკლები. სამაგიეროდ, ავსტრალიელებს ოქროს 36 მედალი ხვდათ, ინგლისელებს კი ცხრით ნაკლები. თამაშების მონაწილე 42 ქვეყანას შორის, რომლებმაც შოტლანდიის ამ ქალაქში გამართულ მრავალდღიან შეჯიბრებებში სასპარეზოდ 2 ათასამდე ათლეტი გამოგზავნეს, ავსტრალიელებმა ყველაზე თვალსაჩინო ოქროს ნადავლი მოიპოვეს.

ყველაზე მეტი მედალი „კენგურუს ქვეყნის“ წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს ცურვაში — 20 ოქრო, 10 ვერცხლი, 15 ბრინჯაო. შეჯიბრების დახურვის წინ ავსტრალიელებმა გ. როჯერსმა, ბ. დივონიშმა, გ. უაიტმა და მ. უენდენმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში — 7.50,77. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო მეორე მსოფლიო რეკორდი, რომელიც ცურვაში დამყარდა მიმდინარე თამაშებში. მანამდე 16 წლის ავსტრალიელმა კარინ მორასმა 9.02,45 აჩვენა იმავე სტილით 800 მეტრზე მოცურავე ქალთა შეჯიბრებაში.

სხვათა შორის, ავსტრალიელები მარტო წყლის ბილიკებზე როდი იყვნენ საუკეთესონი. მათ ბადალი არ ჰყავდათ მძლეოსნობაშიც. „სპორტის დედოფალმა“ ამ ქვეყნის სპორტსმენებს 10 უმაღლესი ჯილდო მოუტანა, თამაშების მასპინძლებს კი მხოლოდ 7. „მწვანე კონტინენტის“ წარმომადგენელი პ. რივერსი პირველობდა შუბის მტყორცნელ ქალებში — ზუსტად 52 მ. სამხტომში ყველას აჯობა ფ. მეიმ — 16,72 მ (თამაშების ახალი რეკორდი), რომელმაც მეორე მედალი დაისაკუთრა. პირველი — ვერცხლის ჯილდო — მას სიგრძეზე ხტომაში ხვდა.

ავსტრალიელებმა ყველას აჯობეს ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 44,1 (ჯ. ლემი, პ. კილბორნი, მ. ჰოფმანი და რ. ბოული).

ისევე როგორც ოლიმპიურ თამაშებში, ახლაც უმედლოდ დარჩა სახელგანთქმული რ. კლარკი. 10000 მეტრზე რბენაში ცნობილმა, 19 მსოფლიო რეკორდის ავტორმა, ავსტრალიელმა სტაიერმა II ადგილი დაიკავა. ორჯერ ნაკლებ დისტანციაზე იგი V ადგილზეც კი აღმოჩნდა — 13.32,4 (აქ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა, შოტლანდიელმა ი. სტიუარტმა, რომელმაც კონტინენტის რეკორდი დაამყარა — 13.22,8).

მოპოვებული მედლების რიცხვით III ადგილზეა კანადის გუნდი — 66, მათ შორის, ოქროს 18 ჯილდო. ერთი მედალი მიიღო დ. ბრილმა, რომელმაც 178 სმ სიმაღლე გადალახა „ფოსბიურის ყაიდის“ საკუთარი ვარიანტით.

კანადელ დ. სტინს ხვდა გამარჯვება ბირთვის მკვრელთა შეჯიბრებაშიც — 19,21 მ.

სახელგანთქმულებს საკმაო წარმატებით უწევდა მეტოქეობას კენია. მარტო შეჯიბრების ბოლო დღეს ამ ქვეყნის ათლეტებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს — 800 მეტრზე რბენაში (რ. ოუკო — 1.46,8. ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი რ. დაუბელი მეექვსე იყო — 1.47,8) და ვაჟთა ესტაფეტაში 4×400 მ (ხ. ნიამუ, ი. სანგი, რ. ოუკო და ჩ. ასატი — 3.03,6). სულ კენიელმა სპორტსმენებმა 14 ჯილდო მოიპოვეს და საპატიო V ადგილი დაიკავეს.

ვაჟთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე კარგი შედეგი ჰქონდათ იამაიკელ ათლეტებს დ. კვერის, ე. სტიუარტს, ლ. მილერს და კ. ლაუსონს — 39,4.

კრივში დიდ წარმატებას მიაღწიეს აფრიკის კონტინენტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ოქროს 8, ვერცხლის ამდენივე და ბრინჯაოს 17 მედალი მიიღეს. ამრიგად, მათ თერთმეტიდან მხოლოდ სამ წონით კატეგორიაში დათმეს პირველობა. ჩემპიონები გახდნენ უგანდის, კენიის, განისა და ნიგერიის წარმომადგენლები.

კლასიკურ ჭიდაობაში განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ინდოელი ათლეტები, რომელთაც ხუთ წონით კატეგორიაში I ადგილები დაიკავეს (შეჯიბრება 10 კატეგორიაში ჩატარდა). ნამდვილი სენსაცია იყო უმჩატეს წონაში 14 წლის ვ. პარკაშის გამარჯვება. თავდაპირველად ასაკის გამო ხალიჩაზე მისი დაშვება საერთოდ არ უნდოდათ, მაგრამ ინდოეთის გუნდის ხელმძღვანელებმა დაარწმუნეს თამაშის ორგანიზატორები, რომ ვედ პარკაში ძლიერი, გამოცდილი მოჭიდავეა. როგორც ხედავთ, მათი სიტყვები გამართლდა.

# სტარტზეა 2,8 მილიონი ბავშვი

ბერლინი, 27 ივლისი. ერთ კვირას გაგრძელდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბავშვთა III სპარტაკიადა, რომელშიც დაახლოებით 11 ათასმა ბიჭმა და გოგონამ იასპარეზა.

სპარტაკიადა 19 ოლიმპიურ სახეობაში გაიმართა. მეტისმეტად მიმზიდველი და საინტერესო შეჯიბრებების შემდეგ გდრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტის თასი ბერლინის გუნდმა დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდნენ ლაიპციგის, ხოლო III — როსტოკის ბიჭები და გოგონები.

გდრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. შტოფის თასი ჰაბუკურ სპორტში დიდი მიღწევებისთვის კოტბუსის ოლქის ნაკრებს გადაეცა.

სპარტაკიადის ფინალურ სტარტებს წინ უძღოდა ასპარეზობის რამდენიმე ეტაპი, რომლებშიც საერთო ჯამში 2,8 მილიონმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.



ესენელი (გფრ) ფეხბურთის მოყვარულნი ისე მოწადინებული იყვნენ მათი ხმა ყველას გაეგონა, რომ ქვეყნის პირველობის კალენდარულ მატჩში, როცა ადგილობრივმა „ესენ როტ-ვაისმა“ დაამარცხა „ოსნაბრიუკი“ (3:1), სტადიონზე წაიღეს 17-საყვირიანი დანადგარი, რათა თავიანთი გუნდი წაექეზებინათ.

# ყოველი მხრიდან

## ადვოკატები არ სჭირდებათ

„კოლეჯების ზანგთა გაერთიანებულმა ფონდმა“ (აშშ) ამას წინათ სამხრეთაფრიკელ გოლფის მოთამაშეს ჰ. პლეიერს უარი უთხრა ახალგაზრდა ზანგ სპორტსმენებთან რამდენიმე საჩვენებელი მატჩის გამართვაზე.

— ჩვენ არ გვჭირდება პლეიერის ტიპის ადვოკატები, — ნათქვამია კოლეჯების ფონდის ხელმძღვანელთა განცხადებაში. — მან ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ჩამოყალიბებული რასისტია, თუმცა მლიქვნელურად განაცხადა, რომ ეცდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვიზა უშოვნოს არტურ ეშს და სამხრეთ აფრიკის გოლფის მოთამაშეთა ნაკრებში დატოვოს აფრიკელი პ. სევგოლუმი. ჩვენ არ ვსაჭიროებთ ამგვარ მცველებს. საკმაოდ ძლიერნი ვართ, რათა დამოუკიდებლად ვიბრძოლოთ საკუთარი უფლებების დასაცავად.

## ნაყოფს იმკიან

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უკმაყოფილებისა და პროტესტების ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია ისრაელის მთავრობის აგრესიულმა პოლიტიკამ. საერთო უკმაყოფილების გამო სპორტსმენებიც დაზარალდნენ. მაგალითად, ევროპის ფრენბურთის ფედერაციამ უარყო ისრაელის თხოვნა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები ევროპის სახელმწიფოების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დაეშვათ: „ითვალისწინებს რა საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ეროვნულ ფედერაციათა მოთხოვნებს, შექმნილ ვითარებაში ფედერაციის ხელმძღვანელობას თავის მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ ამ პრიზის გათამაშებაში ისრაელის ნაკრების დაშვება შეუძლებელია“.

რასაც დათეს, იმას მოიმკი!

## იციან თუ არა ზანგებმა ცურვა?

უცნაური შეკითხვააო, იტყვის ყოველი საღად მოაზროვნე კაცი, — რასაკვირველია, იციან. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხს ვერა და ვერ იძლევა დასავლეთის ზოგიერთი სპეციალისტი. მათგან რამდენიმე კი, მაგალითად, გფრ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ცურვაში ე. გერჰარდტი იმასაც ამტკიცებს, რომ ფერადკანიან სპორტსმენებს სხეულის შესაფერი აღნაგობა და ხითბოგაცემა არა აქვთ, რის გამოც აუზების ცისფერ ბილიკებზე დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევენო. „თეთრი რასის წარმომადგენლებს თანდაყოლილი აქვთ მაღალი კლასის მოცურავეთა ყველა მონაცემი. სწორედ ამიტომაა, რომ მსოფლიოს, ოლიმპიურ ჩემპიონთა და რეკორდსმენთა შორის თითქმის ვერ შეხვდებით შავკანიან ან ყვითელკანიან სპორტსმენთა სახელებს“, — ამბობს იგი. ეს სიტყვები აშკარა სისულელეა. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ იაპონელი მოცურავეები მუდამ ერთ-ერთი უძლიერესნი იყვნენ მსოფლიოში. გავიხსენოთ, რომ ოლიმპიური თამაშების გარიჟრაჟზე ჰქუხდა ინდიელ სპორტსმენთა სახელები, რომლებიც ამერიკის გუნდის ღირსებას იცავდნენ, სულ ახლახან კი თავი გამოიჩინეს „წითელკანიანთა“ მექსიკელმა შთამომავალმა ეჩევარიამ და ასევე ინდიელთა ტომების მემკვიდრე რამდენიმე ბრაზილიელმა მოცურავემ. ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრების — საფრანგეთის გუნდის შემადგენლობაში შედის აფრიკელი ე. სეზარი.

მაგრამ რატომ არაფერი ისმის ამერიკელ ზანგ მოცურავეებზე? ეს იოლი ასახსნელია: ზანგებს არ შეუძლიათ თეთრებთან ერთად ისარგებლონ აუზებით. ათასობით ზანგი ბავშვის მიმართ შეიძლება გავიმეოროთ ივივე სიტყვები, რაც ამას წინათ ამერიკელმა მორბენალმა ჯ. კარლოსმა თქვა.

— მე ალბათ უკეთესი მოცურავე ვიქნებოდი, ვიდრე მძლეოსანი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენ, ზანგებს, ცურვაში ვარჯიში რომ შეგვეძლოს. მაგრამ ამ შესაძლებლობას „ამერიკის მეორე ხარისხის მოქალაქენი“ მოკლებული არიან. ისინი ან ძთლიახად ბედის იმედად უნდა დარჩნენ, ან გამოიყენონ რაიმე იღბლიანი შემთხვევა. ასე გაუღიმა ბედმა, მაგალითად, დღეს სახელგანთქმულ ჩოგბურთელს ა. ეშს. თავისი კარიერის დასაწყისში მან ბევრი შეურაცხმყოფელი სიტყვა აიტანა. ტრიბუნებიდან უყვიროდნენ: „რას მიძვრები, ზანგო, თეთრკანიანთა სპორტში?!“ მაგრამ ეში-მებრძოლი არ დანებდა. მან საქმით დაამტკიცა, რომ ჩოგბურთი, რომელიც ერთ დროს მხოლოდ თეთრკანიანებისთვის განკუთვნილი სახეობა ეგონათ, ზანგებისთვისაც მისაწვდომია.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ, როცა ახალგაზრდა, განვითარებად აფრიკას უკვე ექნება საკუთარი აუზები, აშშ-ს და გფრ-ის რასისტთა მოსაზრებას ყოველგვარი საფუძველი გამოეცლება.

# ფინიში ლიეპაიაში

ლატვიის ზღვისპირა აგარაკ ლიეპაიაში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი. ფინიშთან ერთად მივიდნენ საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი) და ოსტატი ა. სინიავსკი (ალმა-ათა) — 10-10 ქულა 13-დან. კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით სპორტსაზოგადოების ჩემპიონად სინიავსკი გამოცხადდა.

III ადგილი დაიკავა ოსტატმა რ. ჯინჯიხაშვილმა (თბილისი) — 9 ქულა. ოსტატმა ი. ჩიქოვანმა (თბილისი) IV-V ადგილები გაიყო მოსკოველ ა. ბელინკოვთან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის ძალოსნობის უფროსი მასწავლებლისა (1 საშტატო ერთეული) და ტანვარჯიშის კათედრის მასწავლებლის (1 საშტატო ერთეული) ვაკანტურ ადგილებზე (რუსული და ქართული ენების ცოდნა სავალდებულოა).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9 საათიდან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

რექტორატი.

# 1 აგვისტოს

„გამარჯვების“ კულტურისა და დასვენების პარკის (ვაკე) საზაფხულო კინოესტრადის შენობაში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმი აწყობენ ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებისადმი მიძღვნილ საღამოს.

პირველობის ფინალური შეხვედრების შესახებ შთაბეჭდილებებით გამოვლენ ფეხბურთის სპეციალისტები: ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ნ. ჩხატარაშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე გ. ბაქანიძე, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჩოხელი, ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ვ. ელოშვილი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ბ. თავართქილაძე, სპორტის ოსტატი ა. პაიჭაძე, სპორტის ოსტატი ი. სარჯველაძე, სპორტული ჟურნალისტები კ. მახარაძე, გ. ფირცხალავა, გ. ფანჯიკიძე, ო. ნოზაძე.

დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35, II სართული). კოლექტიური დასწრებისთვის განცხადებები მიიღება ტელეფონით: 93-18-46, 99-76-74.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 08256